სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის ტენდერი ქ. . თბილისში, რუსთაველის #45-ში მდებარე ოფისის სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე

მოთხოვნები:

- კომპანიას უნდა ქონდეს მინიუმ 5 წლიანი გამოცდილება
- კომპანიამ უნდა წარმოგვიდგინოს მინიმუმ 3 სარეკომენდაციო წერილი
- კომპანიამ უნდა წარმოგვიდგინო მინიმუმ 3 მათ მიერ დასრულებული პროექტი
- კომპანიამ უნდა წარმოგვიდინოს მინიუმ 3 რეკომენდატორის ტელეფონის ნომერი
- კომპანიამ უნდა წამორგვიდგინოს სამუშაოების შესრულების გეგმა გრაფიკი
- ფასების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი). ფასები უნდა მოიცავდეს ამკონკურსით გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და კანონით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს
- ტენდერში მოცემული ფასები უნდა იყოს ფიქსირებული პროექტის მიმდინარეობის პერიოდში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ ღირებულება არის 0 (ნული) ლარი და კონტრაქტორი თანხმობას აცხადებს უსასყიდლოდ შეასრულოს მოცემული პუნქტი
- მონაწილეების მიერ წარმოდგენილი არასწორი ან არასრულყოფილი წინადადება არ განიხილება
- ხელშეკრულების შაბლონი წარდგენილი იქნება სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის მხრიდან.
- გამარჯვებული კომპანიის მხრიდან სავალდებულოა ხელშეკრულების საავანსო ღირებულების (საჭიროების შემთხვევაში) საბანკო გარანტიის წარდგენა.
- სამუშაოების დაწყების და დასრულების ვადები:
    - დაწყება - 2026 წლის 06 აპრილი;
    - დასრულება -2026 წლის 15 მაისი;
- შემსრულებელი ვალდებულია ყავდეს მინიმუმ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი ექნება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა; შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტ(ებ)ის სერტიფიკატ(ებ)ი (გაეცანით დანართ 2-ს)
- ელექტროობასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულებისას შემსრულებელი ვალდებულია ყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტ(ებ)ი; მოთხოვნის შემთხვევაში შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს ელექტროდანადგარებზე მომუშავე თანამშრომელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი, აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული მოწმობა/სერტიფიკატი;
- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩამტარებელმა დამსაქმებელმა უნდა წარმოადგინოს დასაქმებულთა უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევის დოკუმენტი;
- ინფორმაცია დამფუძნებლ(ებ)ის და მფლობელ(ებ)ის შესახებ;
- შესაძლებელია კვადრატულობები მცირედით დაკორექტირდეს, საბოლოო კვადრატულობა იქნება ხელშეკრულების გაფორმების მომენტში
- საბოლოო სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენამდე აუცილებელია ოფისის ნახვა/დათვალიერება/გადამოწმება

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის ტენდერი ქ. . თბილისში, რუსთაველის #45-ში მდებარე ოფისის სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე

შენიშვნა: წინადადების წარდგენის მომენტისთვის პრეტენდენტი არ უნდა იყოს გაკოტრების პროცესში, ლიკვიდაციის პროცესში და საქმიანობის დროებით შეჩერების მდგომარეობაში.

სს "სადაზღვევო კომპანია იმედი ელ"-ი გამარჯვებულ მიმწოდებელს გამოავლენს სატენდერო კომისიაზე და გადაწყვეტილებას აცნობებს ყველა მონაწილე კომპანიას. სს "სადაზღვევო კომპანია იმედი ელ"-ი არ არის ვალდებული მონაწილე კომპანიას მისცეს სიტყვიერი ან წერილობითი ახსნა-განმარტება კონსკურსთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე.

სს „სადაზღვევო კომპნია იმედი ელ"-ი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს პრეტენდენტებისგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ასევე მოიძიოს ინფორმაცია პრეტენდენტი კომპანიის ან მისი საქმიანობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ პრეტენდენტის მხრიდან მოწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან გაყალბებულია, პრეტენდენტი იქნება დისკვალიფიცირებული.

ნებისმიერი კითხვის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოიწეროთ მეილზე:

procurement@imedil.ge